წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 6

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 11 მაისი

2022 წლის 11 მაისს, 12^{00} საათზე გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია, დავით ბელქანია, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა,დათა კუკავა,ნანა კეკუა, სოლომონ სარია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა,დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, ნანა ლემონჯავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ლაშა ზარქუა. აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.

სხდომა დასრულდა: 13:00 სთ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე

/მომხსენებელი-მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი/

მოისმინეს - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის გელა სალიას მოხსენება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე".

აზრი გამოთქვეს - საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ. მან აღნიშნა, რომ საკითხი საკრებულოს დაგვიანებით წარუდგინეს და ვადები დარღვეული იყო, (საკრებულოს კანცელარიაში პროექტი დარეგისტრირდა მ/წლის 3 მაისს), საქართველოს მთავრობის დადგენილებით კი განსაზღვრულია, რომ პროექტი წარდგენილ უნდა ყოფილიყო 1 მაისამდე და არაუგვიანეს ამ თარიღისა-თანხები, სოფელში ჩატარებული საერთო კრებების მიხედვით, განაწილებული. გათვალისწინებით ამისა, 11 მაისს საკითხის განხილვას აზრი არ ჰქონდა. დავით ბელქანიამ დააყენა მერის პასუხისმგებლობის საკითხი, აღნიშნა, რომ მერის უპასუხისმგებლობამ, საკითხისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ განაპირობა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტების ჩავარდნა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ განაცხადა, რომ მიუხედავად საკითხის ვადის დარღვევით წარდგენისა მიზანშეწონილია მისი განხილვა და შემდგომ საქართველოს მთავრობა მიიღებდა ხალხის ინტერესებზე მორგებულ გადაწყვეტილებას.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ლაშა ზარქუამ განმარტა, რომ პანდემიის გამო ვადები 1 მაისამდე იყო გადაწეული, თუმცა დროში მაინც ვერ მოხერხდა მისი დასრულება გარკვეული მიზეზების გამო. მერიის მიერ შედგენილი გრაფიკით განსაზღვრული დრო ს[illegible]არისი არ აღმოჩნდა, მოსახლეობის თითქმის 20% დასახლებებიდან გასულია, პრობლემები შეიქმნა მათ შეკრებასთან და საერთო კრებების, კანონმდებლობის შესაბამისად, მოწვევასთან დაკავშირებით. მუშა ჯგუფს კარდაკარ უწევდა სიარული და ოქმზე ხელმოწერების შეგროვება. ასეთივე განმარტება გააკეთა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ .

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ პროექტის წარმომდგენს მიმართა კითხვით, იყო თუ არა ააიპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს მიერ წამოყენებული წინადადებები და შენიშვნები სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში გათვალისწინებული. მომხსენებელმა უპასუხა, რომ გათვალისწინებული იყო ზოგიერთი წინადადება. მერის პირველმა მოადგილემ ლაშა ზარქუამ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვინაიდან გადაწყვეტილებას იღებს სოფელი, ზოგ სოფლებში პრიორიტეტად სხვა საკითხები იქნა დაყენებული. იქ სადაც ბაღები დასახელდა პრიორიტეტად (ქ. წალენჯიხა, ობუჯის თემი) პროექტში გათვალისწინებულ იქნა „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" მიერ წამოყენებული წინადადებები და თანხა მიმართულ იქნა სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

საკრებულოს წევრი დავით ბელქანია დაინტერესდა- გათვალისწინებული იყო თუ არა პროექტებში ჯ[illegible]ლის თემის კანთის უბანში 15 ჰა სახნავი მიწის პრობლემა, რომელიც წინა სხდომაზე საკრებულოს წევრმა გონერ კვარაცხელიამ წამოაყენა. მერის მოადგილემ ლაშა ზარქუამ აღნიშნა, რომ მოსახლეობას არ ჩაუთვლია პრიორიტეტად ეს საკითხი, მერიას კი სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებში ჩარევის უფლება არა აქვს, ამას თვითონ მოსახლეობა წყვეტს. თუმცა წამოყენებული საკითხი მნიშვნელოვანია, თვითმმართველობის აღმასრულებელი სტრუქტურა შეისწავლის ამ საკითხს საფუძვლიანად და ეცდება საკუთარი ძალებით მოაგვაროს.

საკრებულოს წევრმა მანანა ჭანიამ (რომელსაც სრულად დაეთანხმა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრები) აღნიშნა , რომ ვერ მიიღო ამომწურავი პასუხი საკითხის დაგვიანებულად წარმოდგენის ფაქტზე და მიაჩნდა, რომ ამ საკითხის განხილვის აუცილებლობას ვერ ხედავდა, რადგანაც მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა ფაქტობრივად დაკარგული იყო. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებმა (ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია), აღნიშნეს, რომ საკითხი უმნიშვნელოვანესი იყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის და პარტიული კუთვნილების მიუხედავად, საკრებულო უნდა შეეცადოს, რომ გამოსწორდეს პრობლემა და დადებითად გადაწყდეს.

ამის შემდეგ, საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალიამ საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე“(2022 წლის 11 მაისის N23 განკარგულება თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა. სხდომა დასრულდა 13^{00} საათზე.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია